ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1–601

"14" აპრილი 2016 წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 5 აპრილის №1-579 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მესამე ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 24 მარტის სხდომის №15 ოქმის შესაბამისად:

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 5 აპრილის №1-579 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, შოთა რუსთაველის გამზირის #31/13-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.15.04.013.001), განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ1=0,8, კ2=5,7."

2. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია




N
W
E
S
383 ლარი
3653.65
ნორმატიულ ფასებს შორის საზღვარი
741.53
1998ლარი
383
1:550


N
W
E
S
საზოგადოებრივ-საქმიანი
ზონა 2
(სსზ-2)
საზოგადოებრივ-საქმიანი
ზონა 2
(სსზ-2)
0.5
2
0.3
საზოგადოებრივ-საქმიანი
ზონა 2 (სსზ-2)
4172
4.2
ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი
221
5.1
სატრანსპორტო
ზონა 1
(ტზ-1)
საზოგადოებრივ-საქმიანი
ზონა
2 (სსზ-2)
1:500